TBILISI HUMANITARIAN TEACHING UNIVERSITY

საერთაშორისო ურთიერთობების სამსახურის მიერ განხორციელებული ინტერნაციონალიზაციის აქტივობები 2020-2025

თბილისის ჰუმანიტარული სასწავლო უნივერსიტეტი აქტიურად არის ჩართული ინტერნაციონალიზაციის პროცესში და წარმოადგენს უნივერსიტეტის საქმიანობის განუყოფელ ნაწილს, რაც თავის მხრივ, ასახულია უნივერსიტეტის მისიაში, ხედვასა და სტრატეგიაში, ხოლო ინტერნაციონალიზაცია უნივერსიტეტის მხრიდან განიხილება როგორც ინსტრუმენტი: ორგანიზაციული განვითარებისთვის, საგანმანათლებლო პროგრამების ხარისხის გაუმჯობესებისთვის, სამეცნიერო კვლევების განვითარებისთვის, პერსონალისა და სტუდენტების განვითარებისათვის.

მიმდინარე ეტაპზე, უნივერსიტეტი აქტიურად თანამშრომლობს 25 უცხოურ საგანმანათლებლო დაწესებულებასთან მსოფლიოს სხვადასხვა რეგიონიდან. აღნიშნული პარტნიორობა ეფუძნება ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმებს, რომლებიც გაფორმებულია ევროპისა და აზიის უნივერსიტეტებთან.

საერთაშორისო თანამშრომლობა მოიცავს შემდეგ სფეროებს:

- სტუდენტთა და აკადემიური პერსონალის გაცვლა (მობილობის პროგრამები, სემესტრული გაცვლითი პროგრამები, მოკლევადიანი ვიზიტები);
- ერთობლივი საგანმანათლებლო პროგრამების განვითარება;
- საერთაშორისო სამეცნიერო-კვლევითი პროექტები და ინოვაციური ინიციატივები;
- ერთობლივი კონფერენციების, სემინარებისა და სამუშაო შეხვედრების ორგანიზება;
- საგანმანათლებლო რესურსების, გამოცდილებისა და საუკეთესო პრაქტიკის გაზიარება;
- უნივერსიტეტის ინტერნაციონალიზაციის მხარდაჭერა და სწავლა-სწავლების ხარისხის გაუმჯობესება საგანმანათლებლო პროცესში.

საერთაშორისო თანამშრომლობა მნიშვნელოვანი კომპონენტია უნივერსიტეტის განვითარებისთვის, რომელიც მიზნად ისახავს სტუდენტებისთვის მაღალი ხარისხის განათლების მიღწევადობას, საერთაშორისო გამოცდილების დაგროვებას და გლობალურ აკადემიურ სივრცეში უნივერსიტეტის ინტეგრაციას.

TBILISI HUMANITARIAN TEACHING UNIVERSITY

საერთაშორისო პარტნიორი უნივერსიტეტები

1. სამართლის ეროვნული უნივერსიტეტი (უკრაინა)
2. ბოგომოლეცის ეროვნული სამედიცინო უნივერსიტეტი (უკრაინა)
3. კიევის ტექნოლოგიების და დიზაინის ეროვნული უნივერსიტეტი (უკრაინა)
4. ჩერკასის ტექნოლოგიური უნივერსიტეტი (უკრაინა)
5. ბელორუსის სახელმწიფო უნივერსიტეტი (ბელორუსი)
6. აშაფენბურგის გამოყენებითი მეცნიერებათა უნივერსიტეტი (გერმანია)
7. განათლებისა და სამეცნიერო ინფორმაციის სამეცნიერო ცენტრი (გერმანია)
8. ბიდგოშის ეკონომიკის უნივერსიტეტი (პოლონეთი)
9. ლოძის ჰუმანიტარულ მეცნეირებათა და ეკონომიკის უნივერსიტეტი (პოლონეთი);
10. ვარშავის ტექნოლოგიური უნივერსიტეტი (პოლონეთი);
11. პრაღის კვალიფიკაციის ამაღლების უნივერსიტეტი (ჩეხეთი);
12. მიკოლას რომელის უნივერსიტეტი (ლიეტუვა)
13. შიულიაის უნივერსიტეტი (ლიეტუვა)
14. ინსუმბრიის უნივერსიტეტი (იტალია);
15. პიტესტის უნივერსიტეტი (რუმინეთი)
16. ლატვიის უნივერსიტეტი (ლატვია);
17. DMedical-ს უნივერსიტეტი (ისრაელი);
18. აზერბაიჯანის სამედიცინო უნივერსიტეტი (აზერბაიჯანი);
19. აზერბაიჯანის ნავთობისა და მრეწველობის უნივერსიტეტი (აზერბაიჯანი);
20. აზერბაიჯანის ტექნოლოგიური უნივერსიტეტი (აზერბაიჯანი);
21. ევროაზიური უნივერსიტეტი (რუსეთი);
22. სანკტ-პეტერბურგის აკადემიური უნივერსიტეტი (რუსეთი);
23. სტავროპოლის კერძო სასწავლო უნივერსიტეტი (რუსეთი);
24. ბოლაშაკ კარაგანდის უნივერსიტი (ყაზახეთი);
25. ანტალიის ტურიზმის აკადემია (თურქეთი).

TBILISI HUMANITARIAN TEACHING UNIVERSITY

2025 წელი
საერთაშორისო აქტივობები

1. თბილისის ჰუმანიტარული უნივერსიტეტის საერთაშორისო სამსახურის და აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის ორგანიზებით, 2025 წლის წლის 22 და 23 მაისს ჩატარდა სამეცნიერო ვორქშოპი სტუდენტების, კურსდამთავრებულებისა და დამსაქმებლებისათვის თემაზე: Cybersecurity Analysis and the Preventive Mechanisms in Business. ტრენერი: Ernst Schulten (ერნსტ შულთენი) – SAP® S/4HANA-ს სერტიფიცირებული ტრენერი, გერმანია.
2. 2025 წლის 5-10 მაისს, აშაფენბურგის ტექნიკურ უნივერსიტეტში (Aschaffenburg University of Applied Sciences, Germany), ვიზიტით იმყოფებოდა თბილისის ჰუმანიტარული სასწავლო უნივერსიტეტის საერთაშორისო ურთიერთობების სამსახურის უფროსი, პროფ. ნონა გელიტაშვილი. ვიზიტის ფარგლებში გაიმართა შეხვედრები პარტნიორი უნივერსიტეტის პრეზიდენტთან ევა-მარია ბექ-მიუთთან, ვიცე-პრეზიდენტთან ივო შეფერთან და უნივერსიტეტის აკადემიურ პერსონალთან. შეხვედრებისას განხილულ იქნა აკადემიური თანამშრომლობის გაღრმავებისა და ერთობლივი საგანმანათლებლო პროექტების განხორციელების შესაძლებლობები.
3. 04.2025. მიკოლას რომერის უნივერსიტეტსა და თბილისის ჰუმანიტარულ სასწავლო უნივერსიტეტს შორის ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი გახანგრძლივდა.
4. 05.2025 გაფორმდა ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი ინდონეზიის STEKOM მეცნიერებისა და ტექნოლოგიების უნივერსიტეტსა და თბილისის ჰუმანიტარულ სასწავლო უნივერსიტეტს შორის.

2024 წელი

სტუდენტთა საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციებში მონაწილეობა

1. 2024 წლის 11 დეკემბერს, საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტის მიერ ორგანიზებულ, რიგით XXXII სტუდენტთა საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციაში მონაწილეობა მიიღო თბილისის ჰუმანიტარული უნივერსიტეტის ჯანდაცვის ფაკულტეტის სტუდენტი თეკლა თორიამ (https://thu.edu.ge/ka/news/1049)
2. 29.11.2024 თბილისის ჰუმანიტარული სასწავლო უნივერსიტეტის ბიზნესის ადმინისტრირების პროგრამის სტუდენტთა ჯგუფმა მონაწილეობა მიიღო

ბუქარესტის მეცნიერებისა და ტექნოლოგიების ეროვნულ უნივერსიტეტის მიერ ორგანიზებულ საერთაშორისო სტუდენტურ კონკურსში, სახელწოდებით „International Business Plans Competition." (https://thu.edu.ge/ka/news/1051)

3. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ინივიატივითა და მხარდაჭერით, ახალგაზრდა მეცნიერთა კვირეულის „ახალგაზრდა მეცნიერები პლანეტის უკეთესი მომავლისათვის" ფარგლებში, ჩატარდა საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია "მეცნიერების თანამედროვე გამოწვევები" 17/06/2024 (https://thu.edu.ge/ka/news/999);
4. 2024 წლის 6 ივნისი - პოლონეთის "The Mazovian University" ორგანიზებით ჩატარებული სტუდენტთა საერთაშორისო მე-13 კონფერენცია „სტუდენტური სამეცნიერო კვლევების მრავალმხრივობა "("Multifacetedness of student scientific research"). აღნიშნულ კონფერენციაში მონაწილეობა მიიღო თბილისი ჰუმანიტარული სასწავლო უნივერსიტეტის IV კურსის სტუდენტმა გიორგი ძინძიბაძემ (ხელმძღვანელი თჰუ-ს ასოცირებული პროფესორი, ეკონომიკის დოქტორი გიორგი ხარშილაძე), რომელმაც წარმოადგინა მოხსენება თემაზე „მომსახურების სექტორის გამოწვევები საქართველოში" (https://thu.edu.ge/ka/news/998)
5. 2024 წლის 26 აპრილი - პიტესტის უნივერსიტეტის, ეკონომიკის მეცნიერებათა და სამართლის ფაკულტეტის ორგანიზებით ჩატარდა სტუდენტთა საერთაშორისო სამეცნიერო-საკომუნიკაციო სესია. აღნიშნულ კონფერენციაზე მონაწილეობა მიიღეს თჰუ-ს სტუდენტებმა ნიკა ბითაძემ (ხელმძღვანელი თჰს-ს პროფესორი, სამარათლის დოქტორი ლია ჭიღლაშვილი) და ეკონომიკის, ბიზნესისა და მართვის ფაკულტეტის სტუდენტმა გოგა მარგალიტაძემ (ხელმძღვანელი თჰუ-ს ასოცირებული პროფესორი, ეკონომიკის დოქტორი გიორგი ხარშილაძე). (https://thu.edu.ge/ka/news/985);
6. **თბილისის ჰუმანიტარული სასწავლო უნივერსიტეტის ბიზნესის ადმინისტრირების პროგრამის სტუდენტმა - გოგა მარგალიტაძემ მონაწილეობა მიიღო პიტესტის უნივერსიტეტის, ეკონომიკის მეცნიერებათა და სამართლის ფაკულტეტის მიერ ორგანიზებული სტუდენტთა საერთაშორისო სამეცნიერო-საკომუნიკაციო სესიაში, სახელწოდებით - „THE MULTI-CRISIS ENVIRONMENT: ECONOMIC AND LEGAL EFFECTS". (https://thu.edu.ge/ka/news/883)**

საერთაშორისო აქტივობები

1. 2024 წლის 20 დეკემბერს თბილისის ჰუმანიტარული სასწავლო უნივერსიტეტის სააქტო დარბაზში ჩატარდა საინფორაციო შეხვედრა პროგრამის "ჰორიზონტი ევროპა" საქართველოს ეროვნული ოფისის წარმომადგენლებთან.

ღონისძიებას დაესწრო აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალი. შეხვედრის მთავარი მიზანი იყო უნივერსიტეტის ჩართვა „ჰორიზონტი ევროპა“-ს ეროვნულ საპარტნიორო ქსელში და მისი ინფორმირება საგრანტო კონკურსებში მონაწილეობის შესაძლებლობებზე. ასევე, შეხვედრაზე განხილული იყო ეროვნული ოფისის მიერ 2025 წელს დაგეგმილი ტექნიკური დახმარების პროგრამები, მათ შორის თემატური ტრენინგები და კონსულტაციები, რომლებიც უზრუნველყოფს უნივერსიტეტის შემდგომ აქტიურ ჩართულობას მიმდინარე პროცესებში.

2. 2024 წლის 2-6 დეკემბერს თჰუ-ს პროფესორებმა - ნონა გელიტაშვილმა და გიორგი ხარშილაძემ მონაწილეობა მიიღეს აშაფენბურგის ტექნიკური უნივერსიტეტის საერთაშორისო კვირეულში “Blended Total Immersion Week – Erasmsus+ Blended Internstive Programme 2024“ (https://thu.edu.ge/ka/news/1050)

3. 2024 წლის 6 დეკემბერს თბილისის ჰუმანიტარული სასწავლო უნივერსიტეტის სტუდენტმა მარიამ ხუციშვილმა სტუდენტებისთვის ჩაატარა პრეზენტაცია თემაზე, - „გაცვლითი პროგრამა მიკოლას უნივერსიტეტში“. (https://thu.edu.ge/ka/news/1047)

4. 2024 წლის დეკემბერში ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი გაფორმდა Education Export Center-თან, ხოლო მომდევნო ეტაპზე, მათი ორგანიზებით ონლაინ ფორმატში ჩატარდა საუნივერსიტეტო გამოფენა, რომელზეც საერთაშორისო ურთიერთობების სამსახურის უფროსმა ისაუბრა თბილისის ჰუმანიტარული სასწავლო უნივერსიტეტის შესახებ და წარადგინა არსებული საგანმანათლებლო პროგრამები. ორგანიზაციის ხელმძღვანელთან პირად შეხვედრაზე საუბარი შედგა სამომავლოდ განსახორციელებელი საერთაშორისო პროექტების თაობაზე.

5. 2024 წლის 20 ნოემბერს თბილისის ჰუმანიტარულ სასწავლო უნივერსიტეტში საერთაშორისო ურთიერთობების სამსახურის ორგანიზებით გაიმართა შეხვედრა სტუდენტებთან და აკადემიურ/ადმინისტრაციულ პერსონალთან. (https://thu.edu.ge/ka/news/1045)

6. მონაწილეობა საერთაშორისო ღონისძიებაში: „ტურიზმისა და ბიზნესის საერთაშორისო ფორუმი 2024“, რომლის ფარგლებშიც მოხდა შპს „აია ედუქეიშენის“ დაფუძნება. ამას მიეძღვნა პრეზენტაცია, რომლის მიზანია სასწავლო პროგრამის ფარგლებში, საერთაშორისო სტუდენტების ჩამოყვანა საქართველოს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში (https://thu.edu.ge/ka/news/1038).

7. 2024 წლის 23-24 სექტემბერი - ERASMUS+ მიერ ორგანიზებულ საერთაშორისო კონფერენციაში მონაწილეობა სახელწოდებით - „ევროპული უნივერსიტეტების ინიციატივა“ (EUA) - (https://thu.edu.ge/ka/news/1027)

8. 2024 წლის 20 სექტემბერი - შეხვედრა პარტნიორი აშაფენბურგის ტექნიკური უნივერსიტეტის საერთაშორისო ურთიერთობების სამსახურის ხელმძღვანელ ერნსტ შულტენთან. შეხვედრის მიზანს წარმოადგენდა 2025 წლის Erasmus+ Kay Action 1 კრედიტ მობილობის ფარგლებში განსახორციელებელ გაცვლით პროგრამებზე (https://thu.edu.ge/ka/news/1025)

9. თბილისის ჰუმანიტარული უნივერსიტეტის ეკონომიკის, ბიზნესისა და მართვის ფაკულტეტის და აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების დეპარტამენტის ორგანიზებით, 2024 წლის 2 ოქტომბერს, აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტში გაიმართა ვორქშოპი თემაზე: „მშვიდობის შენარჩუნება: ტრავმა, დიალოგი, და მდგრადი გადაწყვეტილებების მრავალმხრივობა.“ვორქშოპს უძღვებოდნენ გორან ბანდოვი, ზაგრების უნივერსიტეტის საერთაშორისო ურთიერთობებისა და დიპლომატიის სრული პროფესორი, და ტომისლავ მეშტროვიჩი, ჩრდილოეთ ხორვატიის უნივერსიტეტის გლობალური ჯანდაცვის ასოცირებული პროფესორი. ვორკშოპში მონაწილეობა მიიღეს აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის და თბილისის ჰუმანიტარული უნივერსიტეტის სტუდენტებმა. (https://thu.edu.ge/ka/news/1032)

10. თბილისის ჰუმანიტარული უნივერსიტეტის ეკონომიკის, ბიზნესისა და მართვის ფაკულტეტის და აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების დეპარტამენტის ორგანიზებით, და აშაფენბურგის ტექნიკური უნივერსიტეტის (გერმანია) მხარდაჭერით, 14 სექტემბრიდან 21 სექტემბრის ჩათვლით, გაიმართა SAP-ის სერტიფიცირებული ტრენინგი სტუდენტების, კურსდამთავრებულებისა და დამსაქმებლებისათვის. (https://thu.edu.ge/ka/news/1022)

11. 2024 წლის 12-13 ივლისს საქართველოს სტომატოლოგთა ასოციაციის ორგანიზებით, ქ. ბათუმში, სასტუმრო ,,შერატონში'', რიგით მე- 20 საიუბილეო საერთაშორისო კონგრესი ჩატარდა. კონგრესში მონაწილეობა მიიღეს: თბილისის ჰუმანიტარული სასწავლო უნივერსიტეტის ჯანდაცვის ფაკულტეტის დეკანმა - ილონა საყვარელიძემ, დეკანის მოადგილემ - ნინო აბაიშვილმა და ამავე ფაკულტეტის სტუდენტმა საბა ფოფხაძემ (https://thu.edu.ge/ka/news/1006)

12. 2024 წლის 19 ივლისიდან 25 ივლისის ჩათვლით, აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტი გერმანიის ქალაქ აშაფენბურგის ტექნიკურ უნივერსიტეტთან და თბილისის ჰუმანიტარულ უნივერსიტეტთან ერთად მასპინძლობდა ქართულ-გერმანულ საერთაშორისო საზაფხულო სკოლას: „ქართული მცირე და საშუალო საწარმოების განვითარების ხელშეწყობა.“ საერთაშორისო საზაფხულო სკოლა მიზნად ისახავდა აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის და თბილისის ჰუმანიტარული უნივერსიტეტის ბიზნესის მიმართულების სტუდენტების კვალიფიკაციის ამაღლებას სტრატეგიული მენეჯმენტის სხვადასხვა მეთოდებში. საზაფხულო სკოლის ამოსავალ წერტილს წარმოადგენდა Blue Ocean Strategy. აღნიშნულ მეთოდზე დაყრდნობით, საზაფხულო სკოლის ფარგლებში მოხდა სტრატეგიული მენეჯმენტის სხვადასხვა მიდგომების შესწავლა. (https://thu.edu.ge/ka/news/1010)

13. 2024 წლის 17 მაისს, მონაწილეობა ბუქარესტის მეცნიერებისა და ტექნოლოგიების ეროვნული უნივერსიტეტის ეკონომიკისა და სამართლის ფაკულტეტის ორგანიზებით ჩატარებულ საერთაშორისო კონფერენციაში, სახელწოდებით -

„ევროკავშირი. ისტორია, კულტურა და მოქალაქეობა“ (https://thu.edu.ge/ka/news/991)

14. 2024 წლის 12 მაისს, თბილისის ჰუმანიტარული სასწავლო უნივერსიტეტის ასოცირებულმა პროფესორმა, ფსიქოლოგიის დოქტორმა ნანა ალექსიძემ მონაწილეობა მიიღო "ევროპის კვლევითი ინსიტუტის ყოველწლიურ კონფერენციაში" (თურქეთის რესპუბლიკა). კონფერენციის ფარგლებში მან წარადგინა ნაშრომი: "მდგრადი კოლექტიური სელფის როლი ეფექტიანი ორგანიზაციული კულტურის შექმნაში". (https://thu.edu.ge/ka/news/987)

15. 2024 წლის 21-დან 28 აპრილის ჩათვლით, ეკონომიკის, ბიზნესისა და მართვის ფაკულტეტის დეკანმა, პროფესორმა ნონა გელიტაშვილმა მონაწილეობა მიიღო პარტნიორი აშაფენბურგის ტექნიკური უნივერსიტეტის (TH Aschaffenburg, Germany) მიერ ორგანიზებულ „საერთაშორისო პროექტების კვირეულში“ („International Project Week 2024“). კვირეულის განმავლობაში ჩატარდა ლექციები, ვორკშოპები, სამუშაო შეხვედრები, ექსკურსიები, ვიზიტი ბავარიის უძველეს ლუდის საწარმოში. საერთაშორისო პროექტების კვირეულში მონაწილეობას იღებდნენ პარტნიორი უნივერსიტეტების პროფესორები და სტუდენტები საქართველოდან, გერმანიიდან, შვედეთიდან, ფინეთიდან, საფრანგეთიდან და უნგრეთიდან. (https://thu.edu.ge/ka/news/983)

16. 2024 წლის 6 მარტს ევროპის განათლებისა კულტურის აღმასრულებელი სააგენტოს (EACEA) და საქართველოს Erasmus+ ეროვნული ოფისის ორგანიზებით გამართულ Erasmus+ მსხვილმასშტაბიანი CBHE პროგრამის კლასტერულ ჰიბრიდულ შეხვედრაში მონაწილეობა. (https://thu.edu.ge/ka/news/965)

2023 წელი

სტუდენტთა საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციებში მონაწილეობა

1. 2023 წლის 17 ნოემბერი - თბილისის ჰუმანიტარული სასწავლო უნივერსიტეტის ჯანდაცვის ფაკულტეტის სტუდენტების მონაწილეობა საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტის მიერ ორგანიზებულ, რიგით XXXI სტუდენტთა სამეცნიერო კონფერენციაში (https://thu.edu.ge/ka/news/941)

2. 2023 წლის 7 ივლისი - თბილისის ჰუმანიტარული სასწავლო უნივერსიტეტის ორგანიზებით ჩატარდა სტუდენტთა რიგით V საუნივერსიტეტთაშორისო ონლაინ

სამეცნიერო კონფერენცია (https://thu.edu.ge/ka/news/911)

3. 2023 წლის 23 აპრილს, სტრატეგიული კვლევების საერთაშორისო ინსტიტუტისა და თბილისის ჰუმანიტარულ სასწავლო უნივერსიტეტის ერთობლივი პროექტის ფარგლებში სტუდენტთა პირველი საერთაშორისო ინტერდისციპლინური სამეცნიერო კონფერენცია ჩატარდა, სადაც 34 ქვეყნის წარმომადგენელი მონაწილეობდა, კონკრეტულად კი 49 უნივერსიტეტიდან ონლაინ რეჟიმში ჩაერთო 60 მონაწილე. (https://thu.edu.ge/ka/news/871)

საერთაშორისო აქტივობები

1. 2023 წლის 30 ნოემბერი - „AIESEC-საქართველო"-ს წარმომადგენელთა ვიზიტი თბილისის ჰუმანიტარულ სასწავლო უნივერსიტეტში (https://thu.edu.ge/ka/news/938)

2. 2023 წლის 18-21 ოქტომბერს პაფოსში (კვიპროსი) ჩატარდა ევროპის კულტურული ტურიზმის XVI საერთაშორისო კონფერენცია „ჭკვიანი ტურიზმი/ჭკვიანი ტურისტული ადგილები". კონფერენციაზე ასოცირებულმა პროფესორმა მაია მელაძემ, ასისტენტ ანა გვარამაძესთან ერთად წარადგინა „ჭკვიანი აპლიკაციები საქართველოს იუნესკოს მსოფლიო მემკვიდრეობის ძეგლების ცნობადობის გაზრდისთვის" (Smart Applications in raising awareness of Georgian UNESCO World Heritage Sites). ასოცირებული პროფესორის ირმა მოლაშხიას, პროფესორ ნონა გელიტაშვილის და კოორდინატორ ირმა წიკლაურის საკონფერენციო თემა: „ენერგიის ეფექტურობის ტექნოლოგიები საქართველოში მდგრადი კულტურული ტურიზმისათვის" (Energy Efficient Technologies for Sustainable Cultural Tourism in Georgia) აუდიტორიას მ. მელაძემ გააცნო.

3. 2023 წლის 10-12 ოქტომბერი - ეკონომიკის ბიზნესისა და მართვის ფაკულტეტის დეკანის პროფესორ ნონა გელიტაშვილის სამუშაო ვიზიტი აშაფენბურგის ტექნიკურ უნივერსიტეტში. დაგეგმილი ვიზიტის პერიოდში, პროფესორი ნონა გელიტაშვილი შეხვდა აშაფენბურგის ტექნიკური უნივერსიტეტის ინტერნაციონალიზაციაზე პასუხისმგებელ პირებს - ბიზნესის ადმინისტრირებისა და სამართლის ფაკულტეტის წარმომადგენელს - პროფ. ალექსანდრა ანგრესს, და უნივერსიტეტის ადმინისტრაციიდან - ვიცე- პრეზიდენტს, პროფ. ჰოლგერ პაშედაგს, ასევე საერთაშორისო ოფისის ხელმძღვანელს - ერნსტ შულტენს, აღნიშნული შეხვედრის ფარგლებში განხილულ იქნა ქართულ და გერმანულ მხარეებს შორის ორმხრივი ურთიერთობების გაღრმავებისა და ერთობლივი პროექტების განხორციელების კონკრეტული გეგმები. (https://thu.edu.ge/ka/news/931)

4. თბილისის ჰუმანიტარული სასწავლო უნივერსიტეტის აფილირებული ასოცირებული პროფესორის გივი მაკალათიას მონაწილეობა V ეროვნული

სამეცნიერო კონფერენცია "საქართველოს ეკონომიკის პოზიციონირება კონფრონტაციული გლობალიზაციის პირობებში. (https://thu.edu.ge/ka/news/930)

5. 2023 წლის 20 ივლისს თბილისის ჰუმანიტარული სასწავლო უნივერსიტეტის აფილირებული, ასოცირებული პროფესორი გივი მაკალათიას მონაწილეობა საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტის მიერ ორგანიზებულ სამეცნიერო მულტიდისციპლინარულ კონფერენციაში. (https://thu.edu.ge/ka/news/922)

6. 2023 წლის 7 ივლისს თბილისის ჰუმანიტარული სასწავლო უნივერსიტეტის ორგანიზებით ჩატარდა სტუდენტთა რიგით V საუნივერსიტეტთაშორისო ონლაინ სამეცნიერო კონფერენცია. (https://thu.edu.ge/ka/news/911)

7. 2023 წლის 3-7 ივლისს, თბილისის ჰუმანიტარული სასწავლო უნივერსიტეტის თანამშრომლები, აფილირებული პროფესორი ირინა ბენია და საერთაშორისო ურთიერთობების სამსახურის უფროსი ქეთი ცერცვაძე, Erasmus+ ის პროგრამის ფარგლებში 5 დღიანი სამუშაო ვიზით ეწვივნენ რუმინეთის პიტესტის უნივერსიტეტს. თჰუ-ს პერსონალმა, უცხოელ კოლეგებსა და სტუდენტებს გაუზიარეს თავიანთი ცოდნა/გამოცდილება ქართული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ, ფართო აუდიატორიას მათ ასევე გააცნეს, ჩვენი ქვეყნის ისტორია და კულტურული ღირებულებები. (https://thu.edu.ge/ka/news/910)

8. 2023 წლის 2 ივნისი - IV საერთაშორისო სამეცნიერო-ინტერდისციპლინური კონფერენცია. კონფერენციაში მონაწილეობდა 45 მომხსენებელი როგორც საქართველოს, ისე სხვადასხვა ქვეყნის უნივერსიტეტებიდან. (https://thu.edu.ge/ka/news/903)

9. 2023 წლის 8 აპრილს საქართველოს პაროდონტოლოგიის და იმპლანტოლოგიის საზოგადოების ორგანიზებით, სასტუმრო „პრეფერანს ჰუალინგ თბილისში" ჩატარარდა კონფერენცია თემაზე „ლაზელური ტექნოლოგიები სტომატოლოგიაში. კონფერენციაში მონაწილეობა მიიღეს თბილისის ჰუმანიტარული სასწავლო უნივერსიტეტის ჯანდაცვის ფაკულტეტის სტუდენტებმა და აკადმიურმა პერსონალმა (https://thu.edu.ge/ka/news/872)

10. თბილისის ჰუმანიტარული უნივერსიტეტის მხარდაჭერით, პარტნიორი ორგანიზაციების საქართველოს ახალგაზრდა რეფორმატორთა ასოციაციის საერთაშორისო სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების პროგრამისა და სტრატეგიული კვლევების საერთაშორისო ინსტიტუტის ორგანიზებით, გაიმართა საერთაშორისო ვებინარი თემაზე,"საერთაშორისო საინვესტიციო სამართალი", რომელსაც უძღვებოდა გეტინგენის უნივერსიტეტის მეცნიერ-თანამშრომელი, დოქტორანტი, ლეიდენის უნივერსიტეტის საერთაშორისო საჯარო სამართლის მაგისტრი და საინვესტიციო სამართლისა და არბიტრაჟის ევროპის ფედერაციის ბოლოგის მთავარი რედაქტორი აგატა დასზკოსი. „Between Black & White: Understanding International Inverstment Law and Arbitration"

(https://thu.edu.ge/ka/news/901)

11. თბილისის ჰუმანიტარული სასწავლო უნივერსიტეტის ჯანდაცვის ფაკულტეტის სტუდენტები **Erasmus+** გაცვლითი პროგრამის ფარგლებში ბულგარეთის, სოფიას სამედიცინო უნივერსიტეტს ეწვივნენ. სტომატოლოგიის პროგრამის წარჩინებული სტუდენტები გაზაფხულის სემესტრი აღნიშნულ უნივერსიტეტში გაატარეს. (https://thu.edu.ge/ka/news/854)

2022 წელი

საერთაშორისო აქტივობები

1. 2022 წლის 8 და 9 დეკემბერს, იურისტ/ფსიქოლოგთა ჯგუფის ორგანიზებით ჩატარდა ორდღიანი სასერტიფიკატო ტრენინგი თბილისის ჰუმანიტარულ სასწავლო უნივერსიტეტში. ტრენიგს უძღვებოდა იურისტი, იურისტ/ფსიქოლოგთა ჯგუფის სასწავლო პროცესების მართვის ხელმძღვანელი, თავდაცვისა და ეროვნული უსაფრთხოების კურსის ხელმძღვანელი გიორგი ქავთარაძე. თემა: სამხედრო დანაშაულებები და საერთაშორისო უსაფრთხოების საკითხები.
2. 2022 წლის 21 ნოემბერიდან 25 ნოემბრის ჩათვლით, თბილისის ჰუმანიტარულ სასწავლო უნივერსიტეტში Erasmus+ გაცვლითი პროგრამის ფარგლებში, სტუმრად იმყოფებოდა რუმინეთის, პიტესტის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალი. პროექტი მიზნად ისახავდა პარტნიორ უნივერსიტეტებს შორის ურთიერთთანამშრომლობის გაღრმავებას, კერძოდ უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამებით გათვალისწინებული საკითხების შესწავლას, ცოდნისა და გამოცდილების გაზიარებას. სამუშაო შეხვედრაზე უნივერსიტეტების წარმომადგენლებმა იმსჯელეს ტრენინგ-მობილობით გათვალისწინებულ აქტივობებზე, შესასრულებელ სამუშაოებზე, მოსალოდნელ შედეგებსა და სამომავლო გეგმებზე. ვიზიტის ფარგლებში თჰუ-ს ორგანიზებით დაიგეგმა და მოეწყო არაერთი ღონისძიება, სადაც აქტიურად ჩაერთვნენ რუმინელი სტუმრებიც. (https://thu.edu.ge/ka/news/806)
3. 19.10.2022-22.10.2022 პერიოდში, ეკონომიკის, ბიზნესისა და მართვის ფაკულტეტის პროფესორებმა - ნონა გელიტაშვილმა და მაია მელაძემ მონაწილეობა მიიღეს ევროპის კულტურული ტურიზმის მე-15 კონფერენციაში „ევროპის ტურიზმის ხელახალი აღორძინება კულტურული მემკვიდრეობისა და დიგიტალიზაციის გზით“, რომელიც ჩატარდა ხორვატიაში, კრკ/რიეკაში.

4. გერმანიის აშაფენბურგის უნივერსიტეტიდან მივიღეთ ორმხრივი მოწვევა სტუდენტებისა და აკადემიური პერსონალის გაცვლით პროგრამაში მონაწილეობის თაობაზე. 2022 წლის ოქტომბერში თბილისის ჰუმანიტარული სასწავლო უნივერსიტეტმა გამოაცხადა კონკურსი 2022-2023 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრში აშაფენბურგის გამოყენებითი მეცნიერებების უნივერსიტეტში (გერმანია) სწავლის მსურველთათვის.

5. 2022 წლის 12 ოქტომბერს "საქართველოს ახალგაზრდა რეფორმატორთა ასოციაციის" გენერალური დირექტორი, ლექსო გოგილაშვილი და საერთაშორისო ურთიერთობებისა და პროგრამების ხელმძღვანელი, გიორგი ჩაჩხიანი თბილისის ჰუმანიტარული სასწავლო უნივერსიტეტის სტუდენტებს შეხვდნენ. ვიზიტის ფარგლებში, როგორც ქართულენოვანი, ისე უცხოენოვანი სტუდენტებისთვის განხორციელდა ორგანიზაციის ძირითადი საქმიანობის, ჩატარებული და მიმდინარე საერთაშორისო პროექტების გაცნობა და სტუდენტების განვითარებაზე ორიენტირებული სამომავლო შესაძლებლობების შესახებ ინფორმირება. მსოფლიოს 50-ზე მეტ ქვეყანაში.

6. „საქართველოს ადოკატები დამოუკიდებელი პროფესიისთვის“ წევრებმა, 2022 წლის 19-20 სექტემბერს, სპეციალური მოწვევით მონაწილეობა მიიღეს ვენის უნივერსიტეტის საერთაშორისო კონეფერენციაში, ღონისძიება ჩატარდა საერთაშორისო სამართლის სკოლისა და ,,Jean Monet Chair”-ის ეგიდით. კონფერენციაში მონაწილეობდა ორგანიზაციის წევრი, თბილისის ჰუმანიტარული სასწავლო უნივერსიტეტის სამართლის, ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის, აფილირებული ასისტენტ-პროფესორი, ნათია ქაჯაია.

7. 2022 წლის 24 იანვარს მემორანდუმის ფარგლებში ჩატარდა ხარკოვის, იაროსლავ მუდრის სახელობის ეროვნული სამართლის უნივერსიტეტის მიერ ორგანიზებული საერთაშორისო საჯარო ლექცია თემაზე, - ,,ციფრული სამყარო“. ლექციას უძღვებოდა კვიპროსის ცენტრალური ლანკაშირის უნივერსიტეტის სამართალის სკოლის ხელმძღვანელი, ევროპული სამართლის პროფესორი, სტეფანე ლაულე შაელო, რომელმაც ოცწლიანი სამეცნიერო-კვლევითი გამოცდილება გაუზიარა მსმენელს, ევროკავშირის სამართლის მიმართულებით. მან ასევე ისაუბრა ციფრული პოლიტიკის თანამედროვე გამოწვევებზე, მასთან დაკავშირებულ საკანონმდებლო ხარვეზებზე, საჯარო წესრიგსა და კანონის აღსრულების მექანიზმებზე. საერთაშორისო საჯარო ლექციას ესწრებოდნენ თბილისის ჰუმანიტარული სასწავლო უნივერსიტეტის სტუდენტები, სამართლის ფაკულტეტის დეკანი, პროფესორი ლია ჭიღლაშვილი და საერთაშორისი ურთიერთობის სამსახურის უფროსი, ქეთი ცერცვაძე.

8. 2022 წლის 21 ნოემბერს, თბილისის ჰუმანიტარულ უნივერსიტეტში გაიმართა საჯარო ლექცია თემაზე: „აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის თვითგამორკვევის მასშტაბი საერთაშორისო სამართალში, არსებული ოკუპაცია და

საქართველოს ნატოში გაწევრიანების სამართლებრივი პერსპექტივები“. მომხსენებელი: გიორგი ჩაჩხიანი, საქართველოს ახალგაზრდა რეფორმატორთა ასოციაციის საერთაშორისო სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების პროგრამის ხელმძღვანელი. (https://thu.edu.ge/ka/news/798)

9. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში გაიმართა საერთაშორისო სემინარი თემაზე - "ხარისხის შიდა უზრუნველყოფა: პერსპექტივები და გამოწვევები". ღონისძიებაში მონაწილეობდნენ საქართველოს, სომხეთის, აზერბაიჯანის, უკრაინისა და ირლანდიის უნივერსიტეტების, ასევე, საქართველოს განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის წარმომადგენლები. სემინარის სამუშაო ფორმატში მოხსენებები წაიკითხეს: ირლანდიის ოთხი უნივერსიტეტის და ევროპის უნივერსიტეტების ასოციაციისა და სადოქტორო განათლების საბჭოს (EUA-CDE) წარმომადგენლებმა, უკრაინის უნივერსიტეტების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურების, ასევე, ქართული უნივერსიტეტების წარმომადგენლებმა. საერთაშორისო სემინარს ესწრებოდა თბილისის ჰუმანიტარული უნივერსიტეტის, სამართლის, ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანი, აფილირებული პროფესორი ირინა არჯევანიძე. (https://thu.edu.ge/ka/news/792)

10. 2022 წლის 8 ივლისს თბილისის ჰუმანიტარულ სასწავლო უნივერსიტეტში, სამართლის, ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის ორგანიზებით გაიმართა: სტუდენტთა IV საუნივერსიტეტთაშორისო ონლაინ სამეცნიერო კონფერენცია. კონფერენციაში მონაწილეობა მიიღეს სხვადასხვა ავტორიზებული უნივერსიტეტის სტუდენტებმა.

11. ეკონომიკის, ბიზნესისა და მართვის ფაკულტეტის დეკანმა - პროფ. ნონა გელიტაშვილმა 2022 წლის 20 ივნისიდან 24 ივნისამდე მონაწილეობა მიიღო ცვიკაუს გამოყენებითი მეცნიერებების უნივერსიტეტის (გერმანია) და DAAD-ს ერთობლივ სამეცნიერო კვირეულში თემაზე: „საერთაშორისო სამეცნიერო ქსელების ფორმირება “ (DAAD Alumni-Woche „WHZ - International“ - Bildung internationaler Netzwerke). აღნიშნული ღონისძიების ფარგლებში, პროფ. ნონა გელიტაშვილს შესაძლებლობა ჰქონდა დასწრებოდა პროფესიული და მეთოდური უნარების განვითარებაზე ორიენტირებულ სემინარებს ბიზნესის, მენეჯმენტისა და კომპიუტერული მეცნიერებების სფეროში. კვალიფიკაციის ამაღლების კონცეფციის გარდა, გათვალისწინებული იყო კონტაქტების დამყარება სხვადასხვა უნივერსიტეტებთან საერთაშორისო პროექტების განხორციელების მიზნით, აგრეთვე ადგილობრივ საწარმოებში ვიზიტი. (https://thu.edu.ge/ka/news/745)

12. 2022 წლის 2 ივნისს, თბილისის ჰუმანიტარული სასწავლო უნივერსიტეტის ეკონომიკის, ბიზნესისა და მართვის ფაკულტეტისა და კვლევებისა და განვითარების ცენტრის ორგანიზებით ჩატარდა ლატვიელი პროფესორის ონლაინ საჯარო ლექცია თემაზე: „ინოვაციები, რომლებიც ავლენენ ცვლილებებს

ტურისტების ქცევაში“. ლექციას უძღვებოდა კრისტინე ბერზინა, ლატვიის უნივერსიტეტი, ბიზნესის, მენეჯმენტისა და ეკონომიკის ფაკულტეტის პროფესორი. ლექცია ჩატარდა ინგლისურ ენაზე.

10. 2022 წლის 28 მაისს თჰუ-ს კვლევებისა და განვითარების ცენტრის ორგანიზებით ჩატარდა „III ონლაინ საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული ინტერდისციპლინური კონფერენცია“. კონფერენცია მიმდინარეობდა ოთხ სექციად:

1. სტომატოლოგია, ფარმაცია და საბუნებისმეტყველო მეცნიერებები;
2. ჰუმანიტარული მეცნიერებები, ფსიქოლოგია;
3. სამართალი;
4. ეკონომიკა, ბიზნესი და ტურიზმი

13. 2022 წლის 31 ივლისიდან 6 აგვისტომდე პერიოდში, დუბროვნიკში (ხორვატია) ჩატარდა საერთაშორისო კონფერენცია თემაზე: „აკადემიური საზოგადოების როლი მშვიდობის ხელშეწყობაში“. კონფერენციაზე მოხსენებით წარდგნენ თბილისის ჰუმანიტარული სასწავლო უნივერსიტეტის პროფ. ნონა გელიტაშვილი და თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტის ასოც. პროფ. ბადრი გელიტაშვილი. კონფერენციის ორგანიზატორი გახლდათ რომის კლუბის ხორვატიული ასოციაცია, ზაგრების უნივერსიტეტეტთან და დუბროვნიკის ინტერ საუნივერსიტეტო ცენტრთან (IUC - the Inter University Centre Dubrovnik) ერთად.

14. კვლევის ინტერნაციონალიზაციის მიზნით, თჰუ-ს ასოც. პროფესორი, კვლევებისა და განვითარების ცენტრის ხელმძღვანელი მარინე შავლაყაძე 2022 წლის იანვრიდან ჩართული იყო სამეცნიერო-საგრანტო პროექტში, რომელიც განხორციელდა ვროცლავის (პოლონეთი) გარემოს დაცვისა და სიცოცხლის შემსწავლელი მეცნიერებების უნივერსიტეტში. პროექტს ხელმძღვანელობს კატარზინა პავესკა. პროექტის სათაური „Framework for Organisational Decision-Making Process in Water Reuse for Smart Cities, SMART-WATER Domain“.

15. თჰუ-ს ასოც. პროფესორი, კვლევებისა და განვითარების ცენტრის ხელმძღვანელი დოქტორი, მარინე შავლაყაძე 2022 წლის 6-11 ივნისს იმყოფებოდა ვროცლავის (პოლონეთი) გარემოს დაცვისა და სიცოცხლის შემსწავლელი მეცნიერებების უნივერსიტეტში კვლევითი სამუშაოების განხორციელების მიზნით. მარინე შავლაყაძის ვიზიტს ორგანიზებას უწევდა პროფესორი კატარზინა პავესკა. მივლინება დაფინანსდა თბილისის ჰუმანიტარული სასწავლო უნივერსიტეტის მიერ. (https://thu.edu.ge/ka/news/736).

16. 2022 წლის 8 მაისს Sheraton Metekhi Palace -ში გაიმართა ახალგაზრდა სტომატოლოგთა საერთაშორისო ფორუმი. ფორუმში მონაწილეობა მიიღეს ჯანდაცვის ფაკულტეტის სტომატოლოგიის პროგრამის III კურსის სტუდენტებმა ხატია გოგუამ და არჩილ გათენაძემ. ფორუმს ესწრებოდნენ საერთაშორისო ურთიერთობების სამსახურის უფროსი ქეთი ცერცვაძე და ჯანდაცვის ფაკულტეტის წარმომადგენელი ლელა კუდავა.

17. ბულგარეთის სოფიას სამედიცინო უნივერსიტეტიდან მივიღეთ ორმხრივი მოწვევა სტუდენტებისა და აკადემიური პერსონალის გაცვლით პროგრამაში მონაწილეობის თაობაზე. 2022 წლის ნოემბერში თბილისის ჰუმანიტარული სასწავლო უნივერსიტეტმა გამოაცხადა კონკურსი 2022-2023 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრში ბულგარეთის სოფიას სამედიცინო უნივერსიტეტში სწავლის მსურველთათვის.
18. ჯანდაცვის ფაკულტეტის სტომატოლოგიური ერთსაფეხურიანი რუსულენოვანი პროგრამის II და IV კურსის სტუდენტები რუსტამ ჰალილი და ალიჰან ალიჰანზადა ერაზმუსის (ERASMUS+) სტუდენტური გაცვლითი პროგრამის ფარგლებში, 2022-2023 სასწავლო წელს, ერთი სემესტრით (გაზაფხულის) იმყოფებოდნენ სოფიას სამედიცინო უნივერსიტეტში (ბულგარეთი).

2021 წელი
საერთაშორისო აქტივობები

1. თბილისის ჰუმანიტარული სასწავლო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი მარინე შავლაყაძე 2021 წლის 9 ნოემბერს (14:00-15:00 სთ) გააკეთა მოხსენება საერთაშორისო ვებინარზე, როგორც მოწვეულმა სპიკერმა. მოხსენების თემა: „The study of the Industrial heavy metal contaminated wastewaters in Georgia“. საერთაშორისო ონლაინ ვებინარის ორგანიზატორი იყო მსოფლიო კვლევითი საზოგადოება და IRAJ- კვლევებისა და ჟურნალების ინსტიტუტი.
2. 2021 წლის 25-26 სექტემბერს თბილისის ჰუმანიტარული სასწავლო უნივერსიტეტის ასოცირებულმა პროფესორებმა - მარინე შავლაყაძემ და ნანა ბიჩენოვმა მონაწილეობა მიიღეს საერთაშორისო კონფერენციაში (სოვეტო, სამხრეთ აფრიკა) „განათლებასა და სწავლების ახალ ტექნოლოგიებზე“. მან გააკეთა მოხსენება თემაზე: „დისტანციური სწავლება“. მერინე შავლაყაძეს გადაეცა სერტიფიკატი და კონფერენციის მასალები კრებულის სახით. კონფერენციაში მონაწილეობის ხარჯები დააფინანსდა თჰუ-ს მიერ.
3. 2021 წლის 23 სექტემბერს, ეკონომიკის, ბიზნესისა და მართვის ფაკულტეტის დეკანმა - პროფ. ნონა გელიტაშვილმა მონაწილეობა მიიღო თბილისის ჰუმანიტარული სასწავლო უნივერსიტეტის პარტნიორი აშაფენბურგის გამოყენებითი მეცნიერებების უნივერსიტეტის მეორე ონლაინ სიმპოზიუმში: „ჰიბრიდულ-ციფრული და დასწრებული სწავლების ფორმების წინააღმდეგობის დაძლევის გზები საუნივერსიტეტო და ბიზნეს სფეროებში“ (Symposium „Gestaltung der Netzwerke von Hochschule und Wirtschaft im Spannungsfeld von digital-hybriden und Präsenzveranstaltungen.“ Technische Hochschule Aschaffenburg). https://thu.edu.ge/ka/news/662

4. 2021 წლის 20-24 სექტემბერს ჩატარდა ხარკოვის საერთაშორისო ფორუმი. ორგანიზატორი, თჰუ-ს პარტნიორი, ხარკოვის იაროსლავ ბრძენის სახელობის ეროვნული იურიდიული უნივერსიტეტი. ფორუმს დაესწრო სამართლის ფაკულტეტის დეკანი, აფილირებული პროფესორი ლია ჭიღლაშვილი. საერთაშორისო ფორუმში მონაწილეობდნენ მსოფლიოს წამყვანი უნივერსიტეტების ექსპერტები, უკრაინის სამთავრობო უწყებების წარმომადგენლები, ცნობილი მეცნიერები და მკვლევარები, ფორუმის ძირითადი თემატიკა: „უმაღლესი საგანმანათლებლო სისტემის სამეცნიერო კვლევის მოდერნიზაცია და უახლესი ტექნოლოგიების დანერგვის პრიორიტეტები“. https://thu.edu.ge/ka/news/655

5. 2021 წლის 9-11 სექტემბერს ონლაინ პლატფორმა ZOOM-ის გამოყენებით, ჩატარდა სამართლის, ბიზნესისა და ინოვაციის კვლევების (LBIS) საერთაშორისო კონფერენცია თემაზე, - „განვითარებადი პერსპექტივები სოციალურ მეცნიერებაში" (ორგანიზატორი დიდი ბრიტანეთი, გაერთიანებული სამეფო, ლონდონი). აღნიშნულ ღონისძიებას სტუმრის სტატუსით ესწრებოდა თჰუ-ს სამართლის ფაკულტეტის დეკანი, პროფესორი ლია ჭიღლაშვილი.

6. 2021 წლის 16 ივლისს გაეროს ქალთა ორგანიზაციის (გერმანია) ეგიდით ჩატარდა ონლაინ საერთაშორისო კონფერენცია, თემაზე: - „ახალი შეთანხმება გენდერული თანასწორობისთვის “. კონფერენციაზე, სტუმრის სტატუსით მიიღო მონაწილეობა სამართლის ფაკულტეტის დეკანმა, აფილირებული პროფესორმა - ლია ჭიღლაშვილმა.

7. 2021 წლის 2 ივლისს, THU-ში აკადემიური და მოწვეული პერსონალისთვის ჩატარდა სემინარი კვლევითი პროექტების დაგეგმვის, კვლევის კომერციალიზაციისა და ინტერნაციონალიზაციის საკითხებზე.

8. Stillpoint Spaces International - ის ორგანიზებით, 2021 წლის 1 ივნისს, ჩატარდა ონლაინ სემინარი თემაზე: „ფსიქოანალიზის ინტერპერსონალური ტენდენციები - მიმართებითი ფსიქოანალიზი“ „Interpersonal Trends in Psychoanalysis - Relational Psychoanalys“ სემინარს დაესწრნენ : ჰუმანიტარული უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი ეკატერინე სულუხია და ფსიქოლოგიის პროგრამის სტუდენტი . სემინარი მიეძღვნა ფსიქოანალიზის განვითარების ინტერპერსონალური ტენდენციების ისტორიას, ფსიქოთერაპიის თეორიისა და პრაქტიკის ზოგირთ მნიშვნელოვან საკითხებს. სემინარს გაუძღვნენ - დოქტორი ალექსანდრე დიმიტრიევიჩი, საერთაშორისო ფსიქოანალიტიკური უნივერსიტეტის პროფესორი, კლინიკური ფსიქოლოგი და ფსიქოანალიტიკოსი.

9. 2021 წლის 10 ივნისს თბილისის ჰუმანიტარული სასწავლო უნივერსიტეტის ეკონომიკის, ბიზნესისა და მართვის ფაკულტეტისა და კვლევებისა და განვითარების ცენტრის ორგანიზებით ჩატარდა ონლაინ საჯარო ლექცია თემაზე: „ციფრული მარკეტინგი პრაქტიკაში “. ლექცია ჩაატარა პორტოს უნივერსიტეტის ეკონომიკისა და მართვის სკოლის პროფესორმა ბელემ ბარბოსამ. ლექცია გაიმართა ინგლისურ ენაზე. https://thu.edu.ge/ka/news/620

10. ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დეკანმა, პროფ. ნონა გელიტაშვილმა და მოწვეულმა ლექტორმა სოფიო ჯვარშეიშვილი მიიღეს მონაწილეობა 2021 წლის 10-11 ივნისს ეკონომიკისა და სოციალურ მეცნიერებათა მე-4 საერთაშორისო კონფერენციაში (ICESS), კონფერენციის თემა: "დიგიტალიზაციითა და დიდ მონაცემთა ანალიზით მიღწეული მდგრადობა და ეკონომიკური ინტელექტი", ორგანიზებული ბუქარესტის ეკონომიკური კვლევების უნივერსიტეტის მიერ (რუმინეთი).

11. 2021 წლის 28 მაისს ჩატარდა ონლაინ ლექცია პოლონელი პროფესორის კატარზინა პავესკას მიერ. ლექციის თემა: „ბუნებასთან ახლოს - ჩამდინარე წყლების გაწმენდა ბუნებრივ გარემოში“. https://thu.edu.ge/ka/news/570

12. 2021 წლის 27 მაისს ჩატარდა 2 დღიანი ონლაინ საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია. თჰუ-ს კვლევებისა და განვითარების ცენტრის ორგანიზებით. „I ონლაინ საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული ინტერდისციპლინური კონფერენცია “, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს როგორც პროფესორ-მასწავლებლებმა, ასევე სტუდენტებმა.

13. 2021 წლის 25 მაისს, Erasmus+ საქართველოს ეროვნული ოფისისა და განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის ორგანიზებით, ჩატარდა ვებინარი, რომელსაც საქართველოს 23 უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების 59 წარმომადგენელი დაესწრო. წამყვანი პარტნიორი - დისტანციური განათლების უნივერსიტეტების ევროპული ასოციაცია (EADTU). ვებინარს დაესწრნენ თბილისის ჰუმანიტარული სასწავლო უნივერსიტეტის წარმომადგენლებიც: პროფ. ნონა გელიტაშვილი, ასოც. პროფ. ნანა ბიჩენოვი, სოფიო მგალობლიშვილი და ქეთი ცერცვაძე. ვებინარი შეეხო online სწავლების დროს სტუდენტთა შეფასების საკითხებს, პანდემიის პირობებში არსებულ გამოწვევებს, სწავლების თანამედროვე მიდგომებსა და სხვადასხვა ქვეყნებში დაგროვილ გამოცდილებას. https://thu.edu.ge/ka/news/585

14. საერთაშორისო კონფერენცია სტომატოლოგიის მიმართულებით ჩატარდა 2021 წლის 4 აპრილს, რომელშიც მიიღო მონაწილეობა ჯანდაცვის ფაკულტეტის აკადემიურმა პერსონალმა ქალბატონმა ლიკა მანიამ, სტომატოლოგიის პროგრამის სტუდენტმა სერგო მარტიაშვილმა , სტომატოლოგიის პროგრამის ხელმძღვანელმა და საერთაშორისო სამსახურის წარმომადგენელმა. გაიცა სერთიფიკატები.

15. თბილისის ჰუმანიტარული სასწავლო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი მარინე შავლაყაძე 2021 წლის 8 აპრილს დაესწო საერთაშორისო სიმპოზიუმს - "Maryland University of Integrative Health 2021 Research Symposium, ასევე 2021 წლის 9 აპრილს დაესწრო საერთაშორისო სიმპოზიუმს თემაზე: "გლობალური ონლაინ სიმპოზიუმი ლაბორატორიაში სწავლებისა და სწავლის შესახებ".

16. წლის 24 მარტს ჩატარდა DAAD-ს მიერ ორგანიზებული ონლაინ ვირტუალური გამოფენა, სადაც მონაწილეობდნენ გერმანიის წამყვანი

საგანმანათლებლო-კვლევითი დაწესებულებები. თბილისის ჰუმანიტარული სასწავლო უნივერსიტეტიდან ონლაინ გამოფენაზე სტუმრის სტატუსით მონაწილეობდა ეკონომიკის, ბიზნესისა და მართვის ფაკულტეტის დეკანი, ნონა გელიტაშვილი და სამართლის ფაკულტეტის დეკანი, ლია ჭიღლაშვილი. https://thu.edu.ge/ka/news/504

17. 2021 წლის 11 მარტს, ეკონომიკის, ბიზნესისა და მართვის ფაკულტეტის დეკანმა - პროფ. ნონა გელიტაშვილმა მონაწილეობა მიიღო აშაფენბურგის გამოყენებითი მეცნიერებების უნივერსიტეტის ონლაინ სიმპოზიუმში, ცოდნის ტრანსფერისა დაუწყვეტი განათლების შესახებ: „ჰიბრიდულ-ციფრული ცოდნის ტრანსფერი უნივერსიტეტიდან ეკონომიკაში - ახალი გამოცდილება და უწყვეტი განათლების პერსპექტივები“ (Symposium „Wissenstransfer und Weiterbildung: Hybrid-digitaler Wissenstransfer in Netzwerken „Hochschule-Wirtschaft“ - Neue Erfahrungen und Perspektiven der Weiterbildung.“ Technische Hochschule Aschaffenburg). სიმპოზიუმში მონაწილეობას იღებდნენ მიუნხენის, აშაფენბურგის, ვიურცბურგის, ბაიროითის და სხვა გერმანული უნივერსიტეტების წარმომადგენლები. საქართველოდან კი - თბილისის ჰუმანიტარული სასწავლო უნივერსიტეტი. https://thu.edu.ge/ka/news/490

18. 2021 წლის 1-5 მარტს ონლაინ რეჟიმში ჩატარდა Erasmus+ KA107 პროექტის I ეტაპი, რუმინეთის, პიტეშტის უნივერსიტეტის ორგანიზებით. ღონისძიებაში მონაწილეობდა 68 ქვეყანის წარმომადგენელი, მათ შორის საქართველოდან თბილისის ჰუმანიტარული სასწავლო უნივერსიტეტი და ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტი (GAU). საერთაშორისო სასწავლო კვირეულს კოორდინირებას უწევდა Erasmus + ოფისის წარმომადგენელი რუმინეთიდან, კარმენ-ანდრეას ბურჯეტი და თბილისის ჰუმანიტარული სასწავლო უნივერსიტეტის საერთაშორისო ურთიერთობის დეპარტამენტის უფროსი, ქეთი ცერცვაძე. პროექტის II ეტაპზე დაიგეგმა, პარტნიორ უნივერსიტეტებს შორის გაფორმებული მემორანდუმის ფარგლებში, საშემოდგომო სემესტრისათვის თბილისის ჰუმანიტარული სასწავლო უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის და სტუდენტების გაცვლა. https://thu.edu.ge/ka/news/488

19. 2021 წლის 19 თებერვალს, თჰუ-ს პარტნიორი ორგანიზაციის „სამართლის მეცნიერთა კავშირისა“ და საერთაშორისო სამეცნიერო ჟურნალ „სამართლის მაცნეს“ ორგანიზებით გაიმართა ონლაინ საერთაშორისო სამეცნიერო დისკუსია თემაზე „საზოგადოებათა სამართლის ადგილი სამართლის სისტემაში” (გერმანული მოდელის მაგალითზე).ღონისძიებას ესწრებოდნენ სამართლის დარგის მეცნიერები, მკვლევარები, მოსამართლეები და ნოტარიუსები. შეხვედრაზე მოხსენებებით წარსდგნენ მანჰაიმის უნივერსიტეტის სამოქალაქო, სავაჭრო და საზოგადოებათა სამართლის კათედრის გამგე, პროფესორი კარსტენ შეფერი, გერმანიიდან და კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი,

საადვოკატო ბიურო „მიგრიაული და პარტნიორების“ დამფუძნებელი და ხელმძღვანელი როინ მიგრიაული, საქართველოდან.

2020 წელი
საერთაშორისო აქტივობები

1. 2020 წლის 20-22 ნოემბერს, თბილისის ჰუმანიტრული სასწავლო უნივერსიტეტის ეკონომიკის, ბიზნესისა და მართვის ფაკულტეტის პროფესორები: აფილირებული ასოცირებული პროფესორი ირინა ბენია, აფილირებული ასისტენტ-პროფესორი თამარ საჯაია, ასოცირებული პროფესორი მაია მელაძე ვირტუალურად მონაწილეობდნენ ეკონომიკის, ბიზნესისა და ორგანიზაციის მესამე საერთაშორისო კონფერენციის (3rd Economics, Business & Organization Conference - EBOR Conference https://www.eborconference.com) მუშაობაში. https://thu.edu.ge/ka/news/454

2. კონფერენციაზე წარდგენილი იქნა მოხსენება თემაზე: „სოციალური მედიის ზეგავლენა ადგილის ბრენდინგზე: სოციალური მედიის გამოყენება შიდა ქართლის რეგიონში“ (The Impact of Social Media on Destination Branding: The Case of Using Social Media in Georgian Region Kvemo Kartli).

3. 2020 წლის შემოდგომაზე ეკონომიკის, ბიზნესისა და მართვის ფაკულტეტის დეკანი - პროფ. ნონა გელიტაშვილი ორთვიანი ვიზიტით იმყოფებოდა გერმანიაში, **ვიადრინას ევროპულ უნივერსიტეტში (Europa Universität Viadrina),** სადაც მიწვეული იყო გერმანული აკადემიური გაცვლის სამსახურის (DAAD) მიერ დაფინანსებული კვლევითი პროექტის განსახორციელებლად. აღნიშნული ვიზიტის ფარგლებში, განხორციელდა შეხვედრა ვიადრინას ევროპული უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ადმინისტრირების ფაკულტეტის დეკანთან - ბატონ პროფ. ინგო გაიშეკერთან. შეხვედრა მიზნად ისახავდა სამომავლო თანამშრომლობას 2 უნივერსიტეტს შორის, კერძოდ, ერთობლივი კვლევითი პროექტების განხორციელებას, საზაფხულო სკოლის ერთობლივი ორგანიზების პერსპექტივებს და ა.შ.

4. 2021 წლის 25 ივნისს Erasmus-ისა და DAAD-ს ორგანიზებით, ჩატარდა ღონისძიება: „BROWN BAG BREAKFAST Erasmus + პოლიტიკის მხარდაჭერისთვის“, რომელშიც მიწვეული სტუმრის სტატუსით მონაწილეობდა ეკონომიკის, ბიზნესისა და მართვის ფაკულტეტის დეკანი - პროფ. ნონა გელიტაშვილი. ღონისძიება ეძღვნებოდა Erasmus + პროგრამის 2021-2027 ახალ ჩარჩო პროგრამას, რომლის

მიზანიცაა ევროპული განათლების სისტემების გაძლიერება და ევროკავშირის ინსტიტიტუციების მხრიდან სულ უფრო მეტი პოლიტიკური მხარდაჭერის უზრუნველყოფა. შეხვედრაზე განხილული იყო ევროკავშირისა და პარტნიორი ქვეყნების ტრანსსასაზღვრო და ტრანსსექტორული თანამშრომლობის პროექტების განვითარებისა და ხელშეწყობის პერსპექტივები. https://thu.edu.ge/ka/news/627

5. 2021 წლის 2 ივლისს, თბილისის ჰუმანიტარულ სასწავლო უნივერსიტეტში ჩატარდა სემინარი კვლევითი პროექტების დაგეგმვის, კვლევების კომერციალიზაციისა და ინტერნაციონალიზაციის შესახებ. აღნიშნულ შეხვედრას უძღვებოდა სამართლის დოქტორი, პროფესორი, ზვიად გაბისონია. შეხვედრაზე განხილული საკითხები აკადემიურ პერსონალს დაეხმარება კვლევის სფეროში არსებული სიახლეების, შესაძლებლობებისა თუ გამოწვევების აღქმასა და გაანალიზებაში. https://thu.edu.ge/ka/news/632

6. 25 და 26 ივნისს, ეკონომიკის, ბიზნესისა და მართვის ფაკულტეტის დეკანმა - პროფ. ნონა გელიტაშვილმა მონაწილეობა მიიღო ვიადრინას ევროპული უნივერსიტეტის (ფრანკფურტ ოდერი, გერმანია) კვალიფიკაციის ამაღლების ცენტრის (Viadrina Center for Graduate Studies at Europa-Universität Viadrina) მიერ გამართულ ონლაინ ვორკშოპში, თემაზე: „დროის მენეჯმენტი და თვითმენეჯმენტი მეცნიერებაში“. აღნიშულ ღონისძიებაზე პროფ. ნონა გელიტაშვილი მიწვეული გახლდათ, როგორც ვიადრინას ევროპული უნივერსიტეტის კვლევითი პროექტის მონაწილე. ვორკშოპში მონაწილეობდნენ აგრეთვე ფრანკფურტისა და ბერლინის უნივერსიტეტების ახალგაზრდა მეცნიერები და მკვლევარები. https://thu.edu.ge/ka/news/396

7. თბილისის ჰუმანიტრული სასწავლო უნივერსიტეტის ეკონომიკის, ბიზნესისა და მართვის ფაკულტეტის პროფესორები: აფილირებული ასოცირებული პროფესორი ირინა ბენია, აფილირებული ასისტენტ-პროფესორი თამარ საჯაია, ასოცირებული პროფესორი მაია მელაძე 20-22 ნოემბერს ვირტუალურად მონაწილეობდნენ ეკონომიკის, ბიზნესისა და ორგანიზაციის მესამე საერთაშორისო კონფერენციის (3rd Economics, Business & Organization Conference - EBOR Conference https://www.eborconference.com) მუშაობაში.
კონფერენციაზე წარდგენილი იქნა მოხსენება თემაზე: „სოციალური მედიის ზეგავლენა ადგილის ბრენდინგზე: სოციალური მედიის გამოყენება შიდა ქართლის რეგიონში“ (The Impact of Social Media on Destination Branding: The Case of Using Social Media in Georgian Region Kvemo Kartli). ნაშრომი წარმოადგენს უნივერსიტეტის მიერ დაფინანსებული შიდა სამეცნიერო გრანტის ფარგლებში შესრულებული სამუშაოების შუალედურ შედეგს. ნაშრომმა მსმენელთა მოწონება დაიმსახურა. მომხსენებლებმა უპასუხეს შეკითხვებს. http://thu.edu.ge/n454

8. ეკონომიკის, ბიზნესისა და მართვის ფაკულტეტის დეკანის - პროფ. ნონა გელიტაშვილის ინიციატივით, 2019 წლის ბოლოს დაიწყო მოლაპარაკება რამდენიმე გერმანული უნივერსიტეტის საერთაშორისო დეპარტამენტებთან თანამშრომლობის თაობაზე. საბოლოოდ შეთანხმების მიღწევა მოხდა აშაფენბურგის გამოყენებითი მეცნიერებების უნივერსიტეტსა და თბილისის ჰუმანიტარულ სასწავლო უნივერსიტეტს შორის. 2020 წლის იანვარში უნივერსიტეტებს შორის ოფიციალურად გაფორმდა ხელშეკრულება, რომელსაც ხელი მოაწერეს აშაფენბურგის გამოყენებითი მეცნიერებების უნივერსიტეტის პრეზიდენტმა - პროფ. ევა-მარია ბეკ-მოითმა და თჰუ-ს რექტორმა - პროფ. ვალენტინა საყვარელიძემ.

05.2025
პროფ. ნონა გელიტაშვილი
საერთაშორისო ურთიერთობების სამსახურის უფროსი